ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ გამოძალვაში ბრალდებულები გაასამართლა

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულები: ბიძინა კ-ს, შალვა პ-სა და მამუდი კ-ს მიმართ. საქმის მასალების მიხედვით, ბიძინა კ-სა და შალვა პ-ს ბრალად ედებოდათ დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, მეზობლის მიმართ განხორციელებული მუქარა. ზემოთ აღნიშნულმა პირებმა მეზობლად მცხოვრები მამუკა ბ-ს ეზოში ჩააგდეს მუქარის შინაარსის შემცველი წერილი და მოითხოვდნენ, ამ უკანასკნელს ეზოს ჭიშკარზე პარკით ჩამოეკიდებინა 10.000 დოლარი. თან აფრთხილებდნენ, ეს ამბავი არავისთვის შეეტყობინებინა. წერილის გაგზავნამდე რამდენიმე დღით ადრე, ღამის საათებში იგივე პირები მივიდნენ მამუკა ბ-ს სახლთან. ბიძინა კ-მ იარაღიდან გაისროლა მამუკა ბ-ს სახლის მიმართულებით იმ მიზნით, რომ იგი შეეშინებინა და მოთხოვნის შემთხვევაში, მისგან გამოძალვით მიეღოფული.

რაც შეეხება მ.კ-ს, მას ბრალად ედებოდა, აღნიშნული დანაშაულის სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეუტყობინებლობა.

მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ბიძინა კ და შალვა პ. წარდგენილი ქმედების ჩადენაში დამნაშავედ ცნო.

ბრალდებულ ბიძინა კ-ს სასამართლომ საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო დამატებით სასჯელად – ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით. ბიძინა კ-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ის გახდა, რომ ადრე ნასამართლევი იყო.

შალვა პ-ს სასამართლომ 5 წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო დამატებით სასჯელად 3000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა.

მამუდი კ-მ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება. სასამართლომ მას პირობითი მსჯავრი მიუსაჯა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით 3000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა.

ფოთის საქალაქო სასამართლო

ფოთში, სპეციალურად სასამართლოსათვის, 2001 წელს აშენდა ახალი სამსართულიანი შენობა. სასამართლო სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2007 წელს, განხორციელდა შენობის რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციის შედეგად, გაიზარდა დარბაზების რაოდენობა, მოსამართლეებისა და სასამართლო აპარატის თანამშრომელთა კაბინეტები. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია მისაღები, სადაც ხდება მოქალაქეთა განცხადებების მიღება.

ფოთის საქალაქო სასამართლოს დარბაზები აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. სამი დარბაზი განკუთვნილია სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად, ორი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებისათვის.

დაგეგმილია ფოთის გამსხვილებული საქალაქო სასამართლოს შექმნა, რომლის იურისდიქციაც გავრცელდება მარტვილის, ხობის, სენაკისა და აბაშის რაიონებზე, ხოლო თითოეულ ამ რაიონში იმოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც პირველი ინსტანციის წესით განიხილავს მის განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს.

იმავდროულად, მაგისტრატ მოსამართლეებს უფლება ექნებათ, საჭიროების შემთხვევაში, განიხილონ ფოთის საქალაქო სასამართლოს განსჯადი საქმეებიც.

ფოთის საქალაქო სასამართლო მდებაროებს აღმაშენებლის ქუჩაზე, №3-ში.

მოქალაქემ ფოთის მერიის წინააღმდეგ დავა სასამართლოს მეშვეობით მოიგო

2011 წლის 12 დეკემბერს ფოთის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ფიზიკური პირის თ.ბ.-ს სარჩელი ქალაქ ფოთის მერიის მიმართ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი ფოთის მერიის გადაწყვეტილება თ.ბ-სათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის შესახებ და მერიას დაევალა, გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა თ.ბ.-ს სახელზე სადავო საცხოვრებელ ბინაზე.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, თ.ბ. 1991 წლიდან ცხოვრობს სადავო ბინაში, რომელიც ირიცხებოდა თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე. სადავო ბინა 2003 წელს თავდაცვის სამინისტროს ბალანსიდან გადაცემულ იქნა მერიის ბალანსზე. მოსარჩელემ 2011 წლის 12 სექტემბერს განცხადებით მომართა ფოთის მერიას და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლების მისთვის გადაცემა, რაზეც თ.ბ-ს ეთქვა უარი. სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელე თ.ბ. წარმოადგენს სადავო ბინის კანონიერ მოსარგებლეს, რადგან მოსარჩელ 1991 წლიდან ხელშეკრულების საფუძველზე ცხოვრობს და სარგებლობს სადავო ბინით და იხდის კომუნალურ გადასახადებს. სასამართლომ, იმის გათვალისწინებით, რომ თ.ბ. წარმოადგენს სადავო ბინის კანონიერ მოსარგებლეს, მიიჩნია, რომ მერიამ არასწორად უთხრა უარი თ.ბ.-ს ბინის უსასყიდლოდ გადაცემაზე, რის გამოც ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელისათვის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით უარის თქმის შესახებ მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და დაავალა, ქალაქ ფოთის მერიას სადავო ბინაზე მოსარჩელის სახელზე საკუთრების ულების მოწმობის გაცემა.

ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს კერძო სკოლა „ანაბასისის“ მოსწავლეები და პედაგოგები ეწვივნენ

პროექტი, რომლის ფარგლებშიც საჯარო სკოლის მოსწავლეები სასამართლოებს სტუმრობენ, მთელი წლის მანძილზე წარმატებით მიმდინარეობდა. პროექტში რაიონული სასამართლოებიც იყვნენ ჩართულები. ამჯერად, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს კერძო სკოლა „ანაბასისის“ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები და მათი პედაგოგები ეწვივნენ.

მოსწავლეებმა ინტერესით დაათვალიერეს სასამართლოს შენობა, აპარატის თანამშრომელთა სამუშაო კაბინეტები და სასამართლოს სხდომის დარბაზები. მოსწავლეები შეხვდნენ სასამართლოს თავმჯდომარეს და მოსამართლეებს. შეხვედრის დროს საუბარი შეეხებოდა საქართველოს საერთო სასამართლოებში მიმდინარე რეფორმებს, განხორციელებულ პროექტებსა და მომავალ გეგმებს. მოსამართლეები მოსწავლეებს ესაუბრნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ღონისძიებებსა და ამ კატეგორიის საქმეთა წარმოების სპეციფიკაზე. მოსწავლეები დაინტერესდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ინფორმაციებით, რაზედაც მიიღეს შესაბამისი განმარტებები.

შეხვედრისას მოსწავლეებს დაურიგდათ ,,სასამართლოს გზამკვლევი ბროშურები. შეხვედრაზე მოსწავლეთა მხრიდან გამოითქვა სურვილი, იმიტირებული სასამართლო პროცესის გამართვასთან დაკავშირებით. ასეთი სახის შეხვედრები კვლავ გაგრძელდება ზესტაფონის სხვა საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებთან.

ლექცია-სემინარი საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის

10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დღის აღსანიშნავად, თბილისის საქალაქო სასამართლომ, საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტის ფარგლებში, საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებმა მოსწავლეებს ადამიანის უფლებებზე, კერძოდ კი, ბავშვთა უფლებების შესახებ ლექცია-სემინარი წაუკითხეს. კითხვა-პასუხის რეჟიმში მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ, მათთვის საინტერესო შეკითხვები თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილისათვის, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დირექტორისთვის და ღონისძიების სხვა წევრებისთვის დაესვათ.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელის თანახმად, ადამიანის უფლებები და თავისუფლება არის განუყოფელი: **„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობს, რა შემოსავალი აქვს და რომელ რელიგიურ თუ პოლიტიკურ მსოფლმხედველობას იზიარებს“**, — აღნიშნულია დეკლარაციაში.

„ადამიანის უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოქალაქეების აქტიურობა და საკუთარი უფლებების ცოდნაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლექცია-სემინარზე თბილისის საქალაქო სასამართლომ მოზარდები მოიწვია, ანუ საზოგადოების ზუსტად ის ასაკობრივი სეგმენტი, რომელთა ინფორმირებულობა და აქტიურობა მათი სამართლებრივი ცოდნის გაღრმავებას და სამომავლოდ, კანონმორჩილი საზოგადოების წევრებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს“, — განაცხადა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ მამია ფხაკაძემ.

მსგავსი ღონისძიებები ერთგვარი სტიმულია ახალგაზრდებისათვის, რათა გააორმაგონ ძალისხმევა ადამიანის უფლებების დასაცავად.